სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევის წესი

მუხლი 1. მიზანი

წინამდებარე წესის მიზანია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „თსუ“) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“) საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევასთან დაკავშირებული რეგულაციების განსაზღვრა.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები

1. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს გამოცდას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში.
2. ენის/ენების გამოცდიდან თავისუფლდება აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
3. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში კანდიდატის შერჩევას ახორციელებს ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, ენის/ენების გამოცდაში მიღებული საუკეთესო შედეგების გათვალისწინებით, ხოლო მაგისტრატურაში ჩარიცხვისას გათვალისწინებული იქნება აგრეთვე სპეციალობის გამოცდაში მიღებული შედეგი.
4. გამოცდა ენაში/ენებში ტარდება წერილობითი სახით. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100-ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51 ქულას).
5. მაგისტრანტობის კანდიდატი/მაგისტრანტი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მიზნით გადის ფაკულტეტის შესაბამისი სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ სპეციალობის გამოცდაზე/გამოცდებზე.
6. მაგისტრატურაში მიღების პირობები განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების გათვალისწინებით.
7. ფაკულტეტის მიერ ინფორმაცია პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე - სახელის, გვარისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით, სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე შესაბამისი გამოცდის/გამოცდების ჩაბარებისა და კონკურსის გავლის შემთხვევაში წარედგინება სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს.

8. ფაკულტეტის წარდგინება ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულ ორ ან მეტ პირზე გაიცემა ვაკანტური ადგილების გადაჭარბებით.
9. თსუ-ს და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განხორციელებულ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/სტუდენტების შერჩევას ახორციელებს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 3. გამოცდების ჩატარების ვადები და პროცედურა

1. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს ივლისი, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის - იანვარი.
2. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის გამოცდების ჩატარების ვადად ასევე განისაზღვრება საერთო სამაგისტრო გამოცდაგავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საგამოცდო პერიოდი.
3. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის ენაში/ენებში გამოცდა ჩატარდება საბუთების მიღების დამთავრებიდან 2 კვირის ვადაში.
4. იმ აბიტურიენტის/სტუდენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის, რომელიც წარმოადგენს ენის/ენების ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული, ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, ენის/ენების გამოცდიდან განთავისუფლებაზე გადაწყვეტილებას იღებს თსუ-ს ენების შემსწავლელი ცენტრი.
5. წერითი გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ს საგამოცდო ცენტრი. ენის/ენების გამოცდის ტესტების მომზადებასა და საგამოცდო ნაშრომების გასწორებას უზრუნველყოფს თსუ-ს ენების შემსწავლელი ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია ტესტის სისწორესა და გამოცდის შეფასების სიზუსტეზე.